

ხანოვი იმ წამსვე მიმხედარა, რომ ეს გიჟი უნდა იყო, უთქვამს: ამ წამში ავასრულებ თქვენს დიდებულების ბრძანებასა, და გასულა მეორე ოთახში თითქო ფულის მოსატანათ, ის კი არა კაცი გაუგზავნია პოლიციამ, მისულან და საავთომყოფოში წაუყვანიათ.

* *

ახალციხიდან გვეწერენ:

მთელინის გაზეთებში დაბეჭდილი იყო, რომ პირველი ხარისხის პური გირვანქა 5 1/2 კაპ. ყოფილა, მეორე ხარისხისა—4 კაპ. და ჩვენს დალოცვილს ახალციხეში კი პირველი ხარისხისა გირვანქა 6 კაპ. ისე იდებდა და მეორისა 5 კაპ.

„რადგან ახალციხეში უფრო იაფი უნდა იყოს ვიდრე მთელინისში, ამის გამო აქ ამბობენ, ამის მიზეზი ის არის, რომ აქაურა ძალაქის ოაფი და ბაზრის ვაჭრების ზედამხედველი მესურებების ნათესავეები არიანო. რამდენჯერ იჩივლა საწყალმა ხალხმა, რომ ან გამოსცვალონ ტაქცია ან და კარგი პური გამოაცხონ, მაგრამ ამანვე არასფერი ყურადღება არ მიაკციეს.

ამას წინეთ მოვიდა ერთი იმერელი კარგი მესურე, რომელმაც გააკეთა თორნე და დაიწყო კარგი პურის ყიდვა და იაფათაც; მაგრამ იმას ერთი თვეც არ მისცეს მოსვენება, რადგან იმასთან უფრო ბევრი მიდიოდნენ მყიდველები, ვიდრე აქაურ მესურებთან: რამდენჯერ შეუვარდნენ დუქანში და აშინებდნენ, თუ აქედან არ წასულიყო, ცუდს საქმეს უზამდენ. ადგა და წავიდა საიდგანაც მოსულიყო.“

„დროების“ კორექსიონი

სოფ. შარაში, 14 იანვარს. მაისის 16-ს „დროების“ მე-101-ს ნომერში სამეურნეო სკოლის ადგილის თაობაზე იყო დაბეჭდილი წერილი, რომ უკეთესი იქნებოდა ძველისის სამეურნეო საზოგადოებისაგან შემდგარ კამისიას მართლში, რკინის გზის ნაპირა სადმე, მოქცენა ლოკინის სამეურნეო სკოლის სამაგიეროდ გასამართავი ადგილი, რადგანაც მართლი საქართველოს მუა-გული ალაგია.

მე გამიგონია, რომ აღნიშნული კამისია იყო მარელში, მაგრამ ბორსა და სურამს შუა სოფელს მარელში, რომელშიაც არის რკინის გზის სტანცია, არც კამისია, არც სხვა ვინმე მისგან დანიშნული კაცი არ ყოფილა; მაშასადამე ეს სოფელი არც მხედველობაში ჰქონდა ვისმე მაშინ, როდესაც უნდა გამოთქმულიყო ახრი მასზე, რომ სად უნდა დანიშნოს სკოლის ადგილი. ამისათვის მე საჭიროთ ვხედავ შეგატყობინათ ამ სოფლის გარემოება, — იქნება კამისიას მოეწონოს სკოლისათვის რომელიმე ადგილი მარელში ანუ მის მახლობლათ.

სოფელს მარელში არის ორას

კომლამდე გლეხი და რამდენიმე კომლი მებატონე. ამ უკანასკნელთა არა აქვს გამართული ხენა და თესვა, მაგრამ მამულები-კი ბლომათ უჭირავთ—ხანდისხან სრულიად უსარგებლოთ. შევლა მებატონეს აქვს თითო ალაგს ორმოც-და-ათ დღიდან სახნავი მიწა ორას დღემდინ და ამისათვის ბევრჯერ იყო „დროებაში“ და „საგვაზში“ დაბეჭდილი განცხადებები, რომ მსურველს შეუძლიან აიღოს ესა და ეს მამული იჯარით.—მაგალითათ მე სოფელს მარელის გვერდზე, განსაკუთრებით ყველასაგან მაქვს სამოც დღიურზედ მეტი სარწყავი მიწა ერთს ალაგს; ამ მამულის ახლოდ არის წყარო, სოფლები, ტყე და საძოვარი. მევე მაქვს სოფელს მარელში ქვით-კირის სახლი ექვსის ოთახით, სამზარეულოთი პატარას ბახჩით, ეზოთ და სხვა გამართულობით; ამ სახლიდან ოციოდ ნაბიჯზედ არის სხვა შენობები, უხვი მდინარე წყალი და წყაროები, საბაღე ალაგი, სხვის წისკილი და სხვისივე მიწები ორასის დღის მეტი.—

მე მაქვს სურვილი ყოველი ჩემი მამული გავსცე იჯარით დიდს ხნობით, მაგალითათ ოცის წლით—და, როგორც არის ზემოთ მოყვანილი, შესაძლებელია ლოკინის სკოლისათვის გამოსადეგი იყოს ეს მამულები. მთუ ჩემი მამულები და მდგომიარება მოიწონა კამისიამ, ფასზედ მორიგება ადვილი იქნება და თუ სხვა მებატონის ადგილი ამჯობნა, მაინც კიდევ სხვაზედ პირიანთ შეიძენს კამისია, რადგანაც ერთხელვე საიჯაროთ დანიშნული მამული ყოველთვის უფრო ნაკლებ ფასათ გაიცემა, ვიდრე იმ გვარი მამული, რომელშიაც თვით პატრონს აქვს გამართული ხენა-თესვა და სხვა სოფლის მუშაობა.

მთუ მთელი კამისია ანუ რომელიმე მისი წევრი ისურვებს სოფელს მარელში ჩემისა ანუ სხვის მამულების გაშინჯვას, მე დიდს სიამოვნებით მაშინვე ვუხეივებ და ყველა გარემოებას დაწვრილებით ვუამბობ.

მს კია, რომ აქ მამულები სულ სარწყავები არიან, რკინის გზიდან ერთ და ორ ვერსზედ შორს არ მდებარებენ და თვისებითაც სხვა სოფლის მამულებზედ უკეთესნი არიან.

მითონ სოფელს მარელს გარშემო დიდი მანრა აქვს ასრე, რომ ყველაფრის ადგილი საზოგადოა და რაიცა შეეხება ჰაერს, უნდა ვსთქვა, რომ ნამეტნავათ სოფელს გარეთ არა არისრა იმისთანა მიზეზი, რომლისაგანაც წარმოდგება ცუდი ჰაერი; როგორც სხვაგან ისრე აქ ავთმყოფობა არ იცის. მაღეულება და ხეხილი ხეირობა; ახლოდ ყოველ ნაირი ტყე აქვს, ხვედურეთის სამკურნალო წყლები ახლოა და სხვა რა მიზეზი უნდა იყოს, რომლითაც კამისიას შეეძლოს დაწუნება აქაური მამულებისა სკოლისათვის—მე აღარ ვიცი.

მაშასადამე არ იქნება ურიგო ეს ადგილებიც ნახოს კამისიამ, — შე-

საძლებელია პარდანახს დაამჯობინოს.

თ. მ. დ. ციციანოვი.

ზუზდილის მავრიად, 30 მაისს.

სოფელს ახუთას დღეს დიდი ხალხის მოძრაობა და ალიაქოთია. შევლა მხრიდან საზოგადოება აქ არის შეკრებილი, ყველა წოდების კაცს თუ ქალს აქ ჰხედავთ. მშვენიერსა და სიამოვნო სურათს წარმოადგენს ახუთის ვრცელი მიდორი ფერად-ფერადათ აჭრელებული და ხალხით მოფენილი!.. მრის ქლივილი, ახალ-გაზდების კის-კისი, ცხენების ჯირითი, ტკილი სიმღერა და ფერხულის თამაში ქალისა და კაცის ერთად. როდესაც სამოცამდის ერთბაშათ გაეხმება ამ ფერხულში მშვენიერი ბასის სიმღერით საუცხოვო საყურებელი გახლამთ.

მინც სამეგრელოში ჯარიანობას დასწრება, ის ადვილათ მიხვდება, თუ რა სიამოვნებით ატარებენ აქ დროს.

დღეს ახუთი დღესასწაულობდა „სულის წმინდის მოფენას.“

მინ არ იცის — თუ რა არის ჩვენში საზოგადოთ დღეობა და რა სინარულით მოეღის ხალხი დღეობაში წასვლას.

ახუთიც მოუთმენლად მოელოდა დღესასწაულს. მაგრამ უბედურათ ჩაგვიარა წლევანდელმა ჩვენმა დღესასწაულმა. საქმე აი რაში მდგომარეობს:

ზემოხსენებულ სოფელში ერთი წყალი ჩამოვიღის, სახელად სივს უძახიან, ამ წყლის ამომოსაღვლეთით სენაკის მანრა და დასაღვლეთით ზუზდილის. სოფელში რამდენიმე აზნაურთაგანი ცხოვრობს, გვართ ზერსამიები. იმათ იციან, ამ დღეობაზე მოიწოვენ თავიანთ ნათესავეებს და ახლო ნაცნობებს, რომელნიც სადილათ ამათთან რჩებიან. სადილის შემდეგ დიდ ძალი ხალხი მოეფენება ამ პატარა სივის შალას.

სენაკის უბნში თ. ჯაიანები ცხოვრებენ. ისინიც ჩამოდიან თავიანთი კენიებით მეზობლით დანიშნულ დღეობაზე და ამ მიდორზე მოგროვდებიან დროს გასატარებლად. მაგრამ დღესასწაულს ჯერ ისე არ ჩაუვლია, რომ ვინმე არ გალახულიყოს ამ ჯაიანებისაგან.

წყლსაც ჩვეულებრივ ჯაიანები ჩამობრძანდნენ ამ ქალაში თავიანთ მეზობლით ჩაჩიბაიებით. ამ ჯაიანებსა და ჩაჩიბაიებს დღემდინ დიდი სიყვარული ქონდათ ერთმანეთისა; ეხლა იმათ შორის ისეთი შური ჩამოვარდა, რომ თითქმის ერთმანერთი გაწყვიტეს.

დაიწყეს ცხენების თამაში ჯერ ჯაიანებმა და სხვა მხრიდან ჩამოსულ სტუმრებმა. დღესასწაულის ამსრულებელი ხალხი, ე. ი. აზნაურები, ჯერ არ ჩამოსულან სათამაშო მიდორზე თავიანთი სტუმრებით. რამოდენიმე ხნის შემდეგ გამოუგზავნეს კაცი მერსამიებმა ჯაიანებს და სთხოვეს, რომ დღეს ჯარიანობა (თემობა) იქ ნუ იქნება, სადაც უწინ იყო, თუ შეიძლება, მობრძანდით ჩვენს ეზოში და აქ ვინაშაქმობთ. ჯაიანებმა შეუთვალეს, რომ აქ გვიანახავს ყოველთვის ჯარიანობა აქ გვიანახავს და დღესაც აქ უნდა იქნასო და ვისაც არ ჰსურს აქ თამაში, მიბრძანდეს თქვენს ეზოში და იქ შეიქცეონ თავი.

თუ შეიძლება, მობრძანდით ჩვენს ეზოში და აქ ვინაშაქმობთ. ჯაიანებმა შეუთვალეს, რომ აქ გვიანახავს ყოველთვის ჯარიანობა აქ გვიანახავს და დღესაც აქ უნდა იქნასო და ვისაც არ ჰსურს აქ თამაში, მიბრძანდეს თქვენს ეზოში და იქ შეიქცეონ თავი.

ბარეშე სოფლებიდან მოსულებმა იმათ თხოვნას ყურადღება არ მიაკციეს, რადგანაც ჯაიანები იქვე რჩებოდნენ. სოტა ხნის შემდეგ კიდევ გამოუგზავნეს რამდენიმე ყმაწვილები, მათ რიცხვში ჩაჩიბაიებიც იყვნენ, სათხოვრად, რომ იმ ადგილისთვის დაენებებინათ თავი და იმათი თხოვნა აესრულებინათ. მაგრამ ჯაიანებმა უარი გამოუცხადეს, რადგანაც შეუძლებელი იყო პატარა ეზოში იმოდენა საზოგადოების მოთავსება. ამ უარის თქმაზე ერთმა ჩაჩიბაიამ ამოიძრო ხანჯალი და ერთ ჯაიანის ცხენს დაარტყა და თითქმის ნახევრამდის ცხვირი ჩააჭრა.

ცხენის პატრონს მოუვიდა გული, მოისვა ხმაზე ხელი და დაჰკრა ჩაჩიბაის მუცელში, საიდანაც თითქმის შიგნაულობაც გარეთ გამოვიდა.

დაჭრილმა, სანამ ცხენიდან ჩამოვარდებოდა, კიდევ მოასწრო რამდენიმე ჯერ ხმლის დაკვრა... შეიქნა ერთი ამბავი და ხმლების ტრიალი, ასე რომ სამოც-ოთხმოცამდის იყო ხმლები სისხლით გათხუპნული...

ამ ნაირმა ერთმანერთის ჩენამ თითქმის სამ საათამდის გასწია...

დაჭრილების რიცხვი რამდენია ჯერ არ ვიცი. ჯაიანთაგანი ერთია მიმეთ დაჭრილი ხანჯლით.

მინ მოკვდა და ვინ დარჩება, ჯერ არ ვიცი. იმ ჩაჩიბაიას, რომელმაც პირველად ჩხუბი ასტეხა და ჭრილობა მიიღო, რამოდენიმე ჯერ მოუხდენია იმისთანა უწყსოება და არ გალახულიყო, ისე არა დროს არ გადარჩენილა. მაგრამ ამბობენ, ახლანდელის დაჭრილობისაგან საეჭვოა იმის მორჩენა.

სულ ამ უბედურს შემთხვევაში ორმოცამდის არის დაჭრილი; ოთხი ამათში მძიმედ.

დამსწრე.


რუსეთი

პეტერბურლის გაზეთებში სწერენ, რომ პეტერბურლის ყველა უმთავრეს ხიდებთან უნდა დაათვალიერონ არხები, რადგან ეშინიანთო, რომ ამ ხიდების ასაფეთქად დინამიტი არ იყოს ჩაწყობილი ნიგილისტებისგანაო.

— შენევაში ჩასულა, როგორც იწერება პეტერბურლის ნემცეკური გაზეთი Herold-ი, სიმბირიდან გამოქცეული პოლიტიკური დამნაშავე გვართ ნოკრევიჩი.

— შმაღლეს სასულიერო მთავრობას განზრახვა აქვს ვააუმჯობესოს სამღვდელთების ქვრივ-ობლების მატერიალური მდგომარეობა.

— ამ უკანასკნელ დროს სამხედვარეთის გაზეთებში გავრცელებული



იყო ხმა, ვითომ რუსეთის მთავრობას განზრახვა აქვს იყოლიოს შვეიცარიაში დიდ-ძალი საიდუმლო პოლიცია, რომლის მოვალეობა იქნება თვალყური აღდევნოს იქ მცხოვრებ ნიგელისტებს. ბერლინში ამ ხმას რწმუნებდა არ აძლევდნენ. ადგილობრივი გაზეთი Tagblatt ამბობს, რომ რუსის საიდუმლო პოლიციის აგენტთა რიცხვი შვეიცარიაში, რაც იყო, ორი იმაზედ მეტია, მაგრამ არაერთი საიდუმლო პოლიციის ახალ დაარსებაზედ შვეიცარიაში რუსეთი არ ჰფიქრობს.

— ხარკოვიდამ სწერენ გალასს, რომ ადგილობრივი ერობას ამოუჩვენია კამისია, რომლისათვისაც მიუზღვიათ გამოიკლიონ—რა წესით და დადგინებით ასახელონ მიცვალებულის იმპერატორის ხსოვნა. ძველა წინადადებებზე უფრო თანაგრძობა გამოაცხადა კამისიამ იმ პროექტზედ, რომელიც უჩრევდა ერობას დაურთონ უ-მიწა-წყლო გლეხობას გარდაწყვეტილი ფული მამულების შესასყიდავად და შესაძენად.

უცხოეთი

ბოლგარია. სოჭიილამ იწერებინ, რომ ღენერალმა მარნოვმა გაათავა თავისი მოვალეობა და აპირებს რუსეთში დაბრუნებას. ამის ალაგას ბოლგარიის სამხედრო მინისტრად იქნება ღენ. ძრილოვი.

— როგორც გვარწმუნებს ლონდონიდან მოსული ცნობები, ინგლისის მმართველობას განზრახვა აქვს მიჰმართოს მეროპის სახელმწიფოებს ცირკულიარით შესახებ ბოლგარიის საქმეების მდგომარეობისა.

— სოჭიილამ სწერს დეპეშით საკუთარი კორესპონდენტი რუსკი კურაერის: თუ ბოლგარიის მთავარი ალექსანდრე უარს იტყვის მთავრობაზედ, ამ შემთხვევაში შიშობენ აესტრიამ არ შამოიყვანოს თავის ჯარი ბოლგარიაში. იქილამვე იწერება ისევე კორესპონდენტი: სანკოვი, ძარაველოვი და სლავიკოვი დაატუსაღეს ბოლგარიის მთავრის შეურაცხყოფისათვის და მის დეკრეტების (ბრძანების) განკიცხვისათვის.

იტალია. რომილამ იწერებინ, რომ 9 ივნისს იქ მისულა დეპეშით ცნობა ქ. მარსელში უწყობების თაობაზედ და ამის გამო. ქ. ნეაპოლში, ტურინში და ბენუაში მომხდარა დემონსტრაცია მარსელის უწყობების წინააღმდეგ უსიამოვნების გამოაცხადებლად. საქმე იქამდის მისულა, რომ ამ ქალაქებში ჯარი გაუგზავნათ წესიერების და მშვიდობიანობის დასამყარებლად.

ოსმალეთი. ძ. ტრიესტიდამ იწერებინ, რომ ოსმალები ამაგრებენ პუნტას; მპირისა და ტესალიის მაჰმადიან მცხოვრებთ განზრახვა აქვთ წინააღმდეგობა გაუწიონ ბერძენებს.

და არ შეუშვან ესენი თავის მხარეში.

— მრთს ფრაცუზულს გაზეთში იწერებინ სტამბოლიდამიენის, რომ ამ დღეს ძორტიმ (იტალიის წარმომადგენელი ოსმალეთის მთავრობასთან), როგორც ყველაზედ უხნივრესმა დიპლომატიურ დასის წევრმა, წარუდგინა ოსმალეთის მთავრობას ყველა სახელმწიფოების წარმომადგენელთაგან ხელ-მოწერილი ნოტა, რომლითაც ისინი, საბერძნეთსა და ოსმალეთს შუა დადგენილ პირობის პირველის და მეთვრამეტის მუხლის ძალით, თხოულობენ მალე დაინიშნოს ოსმალეთის მხრით კამისარები ოსმალეთსა და საბერძნეთს შუა სამზღვრის გაყვანისათვის და მათ შორის დადგენილ პირობაზედ ხელის მოწერას.

— თათრულს გაზეთს „ვაკიტში“ დაბეჭდილია, რომ რადგან ბოლგარიაში უწყობება არის, ამის გამო, ბერლინის ტრაქტატის ძალით, ეს ქვეყანა ჩვენმა ჯარებმა უნდა დაიჭიროს.

საზრანგეთი. ამას წინათ პარიჟში საგარეცხლების მწარმოებელ ამქარს გაუმართავეთ ბანკეთი ოთხსამდე კაცების თანადასწრებით მამბეტტის თავსმჯდომარეობით და მრავალი მანდილოსნების თანადასწრებით. სადღეგრძელოს სმა დაუწყია საგარეცხლის ქარხნის პატრონს პიეროს, რომელიც ამტკიცებდა თავის სიტყვაში ამხანაგობით შრომის წაყვანის და სხვა-დასხვა საფაქრო ამხანაგობის მტკიცე სიკავშირის სარგებლობას. ამის შემდეგ მამბეტტას უთქვამს მოკლე სიტყვა, რომელშიაც შესანიშნავი ალაგია შემდეგი:

„ამ უკანასკნელ ორ-სამ წელიწადში, საფრანგეთში მოგზაურს იმდენათ არ აკვირებებს რესპუბლიკის მოწინააღმდეგე პირების სისუსტე, რამდენათაც თანხმობა და ერთობა, რომელიც ჰსუფევს რესპუბლიკელებში. ამ გვარ მოვლინებაში ადვილად შეიძლება დაინახოს კაცმა ხალხის ხასიათის ახალი მხარე, ვურჩევ მიაქციონ ამას ყურადღება იმ პირებმა, რომელნიც კმაყოფილნი არ არიან ახლანდელის წესისა. მჭვი არ არის, რომ რესპუბლიკის ხასიათები მტკიცდება და მაგრდება ჩვენში. ეს დემოკრატიული თანხმობა ძრიელ მახარებს. რამდენიც უნდა ილაპარაკონ, რამდენიც უნდა იოხუნჯონ ჩვენზედ, მე მაინც დარწმუნებული ვარ, რომ საფრანგეთის რესპუბლიკა არასოდეს არ ემსგავსება სხვისას და არსად არ შეიძლება მოიპოვოს კაცმა ის მხიარულება, თანხმობა, კავშირი, ის კარგი გემოვნება, რომელნიც შეადგენენ საფრანგეთის ხალხის მშვენიერ მხარეს. მე დიდი სიამოვნებით შემოვიღვიარ ხოლმე თქვენს წრეში და ესტოვებ იმ დროს გარეთ ყველა პოლიტიკურ საქმეებს და საზოგადოთ იმას, რასაც, ჩემო მეგობრებო, ზოგიერთნი უწოდებენ პარლამენტის „გაჭიერებას“. სუდათ გვიცნობენ

ჩვენ ისინი, ვინც ამას ლაპარაკობენ ჩვენზედ. „თორმეტის წლის წინეთ, ჩვენ ერთად გავეგზავნეთ შორს და მშვენიერს მოგზაურობაში, ერთად თავს გადავივლეთ მძიმე გაჭირება, მხნეთ გაუჩირდით გაჭიერებას—და, რასაკვირველია, დღეს, როდესაც საფრანგეთის რასპუბლიკას ყველაფერი მშვენიერის, საამო ღიმილით შესცქერის, წერილმან და პირად უთანხმობას არ შეუძლია ჩვენი განშორება, განცალკევება. შოველ დღეს თავ-თავისი საქმე აქვს; და თუ რომელიმე დღის საქმე არ ასრულდა, ამ შემთხვევაში ხელ-ახლავ მომეტებულის სურვილით ჰკიდებენ ხელს... მაგრამ მე შეგვებ იმ საგანს, რომელზედაც არ მინდოდა თქვენთან ბაასი. ჩვენ კიდევ შეგვხვდებით, თქვენ იცით, სად და როდის. რაც უნდა ილაპარაკონ, რაც უნდა დიდების მოყვარება მომაწერონ კანდიდატობის ხელში ჩაგდებას, მხოლოდ მე ვიცი ერთი წრე... მაგრამ მე არ მსურს დრომდინ აღმორჩევების საქმეებს შევეხე...“

ბ-ნი ნ. ბაქრაძე და მუთაისის საადგილ-მამულ ბანკი (დასასრული *)

ახლა გარდავალ „ლიაცის დატაკებაზე“. საკვირველია, რათ ჩაურთო ბ-ნი ბაქრაძემ თავსმჯდომარე იმ სტრიქონებში, რომლებშიაც ამბობს, თუ ღიაცო დამატაკესო! ნუ თუ თავსმჯდომარის მოქმედებასა და ღიაცის დატაკებასა შუა რაიმე კავშირს ჰხედავს ბ-ნი ბაქრაძე? თუ ეგ ასეა, დიდად და დიდად სცდება ბ-ნი ბაქრაძე! ნუ თუ ის ფიქრობს, რომ თავლებს აუხვევს „ღროების“ მკითხველებს? რატომ ის აღარ იტყვის ბარემც, თუ ვინ არის ეს გარყვნილი და მთვრალი ღიაცო და ან რა დამოკიდებულება აქვს იმას ბ-ნი ბაქრაძესთან? სად იყო მაშინ ან თავსმჯდომარე და ან კენჭის ყრა, რომ რამოდენიმე წლის წინეთ ეს გარყვნილი და ლოთი ღიაცო შეეტაკა ბ-ნი ბაქრაძეს თვით მის კამერაში, ხალხის თვალის წინ? რატომ არ იტყვის ბ-ნი ბაქრაძე სდევნიდა ის თუ არა იმ ღიაცს? ჩასვეს მისი საჩივრით ის საპრობილეში, თუ არა? შჩივლა მან გამომძიებელს, თუ არა იმ ღიაცის საპრობილედამ გამოშვებისათვის? თუ კი ეს ყველა მოხდა და თუ კი ბ-ნი ბაქრაძე იმ საშვალებით სდევნიდა იმ გარყვნილს და მთვრალ ღიაცს, რითაც შეეძლო, რატომ არ მოხდებოდა ისე, რომ ის ღიაცოც მოინდომებდა არ დაეშოვა ბ-ნი ბაქრაძე, რითაც შეეძლო? როგორც ამბობენ, და იქნება არც თითონ ბაქრაძემ დამალოს ეს, რომ კენჭის-ყრის წინეთ, იმ ღიაცზე ნაწარმოები საქმე მოსასპობელად გარდასცაო ბ-ნი გამამტყუნიებლის ამხანაგმაო ოლქის სამსჯავროშიო (იქნება ესეც ლოლაბერიძის მანქანებით მოხდა!). თუ ეს მარ

თალია, შესაძლოა, რომ ისევე გამოამადა ის ღიაცო და მთვრალი მამულ ბანკის ძებნა, რომელიც დატაკებულა და ბ-ნი ბაქრაძეს. მე იმას კი არ ვამტკიცებ, თუ ეს მაინც-და-მაინც ასე იყო-თქო, მაგრამ უსაფუძვლოდ სხვას რომ სწამებს ბ-ნი ბაქრაძე დამატაკესო, იქნება ის ღიაცო თითონ დაეტაკა ზევით აწერილი გარემოების მიზეზით.

პრა, როგორც გამოდის, ბ-ნი ბაქრაძე ეტვით ცხოვრებს. ის ყოველიფერში უყურებს ლოლაბერიძის მანქანებას და თავსმჯდომარის უსამართლო მოქმედებას. მაი თუ მწარედ შემცდარია ბ-ნი ბაქრაძე? მაი თუ ლოლაბერიძის მანქანება მართო ბაქრაძის თავშია, და ლოლაბერიძის გარჯება არის დამოკიდებულ ლოლაბერიძის საფუძვლიან განათლებაზე, იმის შრომაზე, და იმის დიდი ხნით დამსახურებულ სახელზე!

ბ-ნი ბაქრაძის გამოსვლა განა პირველი ხომ არ არის წელს. ის არ იყო, რომ აწ უკვე მიცვალებულის ბეს. ლოლაბერიძის წინააღმდეგათაც გამოვიდა? მაშ, რალათ სთქვა წელს ბ-ნი ბაქრაძემ, რომ ხუთი წელიწადია ამ ბრძოლაში ვარო, რადგან ბანკის რიგის და ჰანრაკების წინააღმდეგი ვარო? სად იყო ბანკის რიგი და ჰანრაკები, ბესარიონ ლოლაბერიძეს რომ იჩევედნ მაშინ? თითონ ბანკიც არ იყო დაარსებული მაშინ კიდევ!

ბარდა ამისა, რატომ არ გვიჩვენა ბ-ნი ბაქრაძემ წლეუნდელ დიდ კრებაში, თუ რაში მდგომარეობს ის ცუდი რიგი და ჰანრაკი, რომლისთვისაც იმას უნდა ჯვარზე იცვას თავი? ან რატომ ბეჭდით არ გავავებინებს? ბანა ეს არ ემჯობინებოდა ნიადაგ მანქანებაზე ლაპარაკს?

მაშასადამე, რათი აიხსნება ბ-ნი ბაქრაძის ბრძოლა? თუ გნებავსთ, მოგახსენებთ პასუხს, მაგრამ მოკლეთ.

სამწუხაროდ ჩვენდა, მუთაისის მხრის ხალხისა, ჩვენ ბუნებით ნიქს, ჩვენ ფხიზელ გონებას და ჩვენს ბევრ კარგ თვისებას, ერთი ცუდი და მვენებელი თან შობილი ჩვეულება აქვს: ჩვენ ვართ ხარბი და მტრელი! მცდილობთ, რომ ჩვენმა ძმამ ჩვენ წინ ნაბიჯი არ გარდაადგას, რამდენათაც უნდა გვეჯობდეს ჩვენ!

მს ცუდი თვისება, სამწუხაროდ, ხანდის-ხან გონების განათლებითაც არ გვეცილდება. ამის მოცილებისათვის საჭიროა, როგორც ჩვენი მხრის საზოგადო ინტერესების კარგად გაგება, ისე კარგი აღზრდა, რომელსაც ჩვენში იშვიათად ეღირსება კაცი სიღარიბის და საზოგადო განათლების გაუვრცელესობის გამო. ზონების განათლება დაგახსნა, ხანდის-ხან, და ზნეღარობსაც შეუძლია, თუ ნიჭიერია, ობით კისევე ისე ჩიებადა როგორც ჩვენი ძველები, ერთი მეორეს უდგია კვალში. ჩვენ ძველებს გარეული მტრები იმოღენს ვერას უშეგობდნ, რაოდენს ისინი ერთი-მეორეს ახდენდნ. მის არ გაუგონია ჩვენი ირაკი:

*) ის. „დროება“ №125.

